განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების
თარიღ(ებ)ი
06/12/2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
13/12/2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოდერძი ბუჩაშვილი შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ქაჯაია მწვანე სკოლა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ვაშაკიძე ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ ილიას უნივერსიტეტში განათლების ადმინსიტრირების პროგრამა 2011 წლიდან ხორციელდება. თავდაპირველად პროგრამა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) განათლების მართვის პროექტის ფარგლებში შემუშავდა, სადაც მისი საერთაშორისო პარტნიორი იყო კალიფორნიის უნივერსიტეტი – ლოს ანჯელესი (UCLA). პროგრამის მიზანი განათლების სფეროში მომავალი ლიდერების მომზადება იყო. დასაწყის ეტაპზე, პროგრამა ზოგადი განათლებაზე იყო ორიენტირებული, თუმცა, დროთა განამავლობაში, უმაღლესი განათლების მიმართულება განავითარა. ეს მოხერხდა 2012-2015 წლებში ევროკავშირის TEMPUS-ის პროექტის – MAHATMA ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოსა და სომხეთში უმაღლესი განათლების ადმინისტრირების პროგრამის (თუ პროგრამის მოდულების) შექმნას. ამრიგად, ბოლო აკრედიტაციის შემდეგ განათლების ადმინისტრირების პროგრამა მოიცავს ორ მიმართულებას – ზოგადი და უმაღლესი განათლების მიმართულებებს. უმაღლესი განათლების მიმართულების კურსების გარკვეული რაოდენობა ინგლისურად მიმდინარეობს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების ადმინისტრირების 120 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 6 დეკემბერს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, (პრორექტორი, დეკანი, ხარისხის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტისა და უშუალოდ პროგრამის ადმინისტრაციის მიერ. დაწესებულების მხრიდან, გამოიხატა მზაობა არსებული მოსაზრებების გათვალისწინებისა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთ ჯგუფის შეფასებით და არსებულის წესის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა შესაბამისობაშია სტანდართებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტებთან.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობა პროგრამასა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის არ ფიქსირდება.

- **რეკომენდაციები**

  - უნივერსიტეტი თანამშრომლობს ძალიან ბევრ საჯარო თუ კერძო სკოლასთან, რაც ხელს უწყობს ზოგადი განათლების მიმართულების სტუდენტებისთვის პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობის მრავალფეროვნებას, თუმცა, სასურველია, გაფართოვდეს უსდ-ს თანამშრომლობა უმაღლესი განათლების მიმართულებითაც და ამ მიმართულებით გაფორმდეს მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სილაბუსებში მითითებულ სავალდებულო ქართულენოვან ლიტერატურასთან ერთად მითითებულია თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურაც, ამასთან, პროგრამაში არსებული პრაქტიკის კვლევის გათვალისწინებით, დაგეგმილია მნიშვნელოვანი კვლევების განხორციელება, აქედან გამომდინარე სტუდენტების მიერ განხორციელებული კვლევების ინტერნაციონალიზაციისა და პროგრამაში არსებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის სიღრმისეული გააზრების მიზნით, კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი დაშვების წინაპირობეში გაზრდის ინგლისური ენის დონეს B1 დან B2 მდე.
  - სასურველია გამოკითხვისა და სერვისების კვლევის შედეგად განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში თუ მის ცალკეულ სასწავლო

კურსებში შეტანილი ცვლილებების უფრო მეტი საჯაროობა, რისთვისაც ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების გარდა, კარგი იქნება თუ სტუდენტებთან გაიმართება საპრეზენტაციო შეხვედრებიც იმ შედეგების გასაცნობად, რაც სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ გამოკითხვებში ჩართულობამ და მათმა შეფასებებმა გამოიღო.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამაზე მისაღებ კომისიაში პროფესორებთან ერთად მონაწილეობას იღებენ კურსდამთავრებულები და მოწვეული ლექტორები, რაც კარგი პრაქტიკის მაჩვენებელია.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2017-18 წლებში ჩატარებული კვლევისა და სტუდენტთა ნაკადის დაკვირვების საფუძველზე პროგრმის რეაკრედიტაციისთვის განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- გამსხვილდა პროგრამის მიზნები სადაც მთავარი აქცენტი გაკეთდა ანალიტიკური უნარების მქონე ლიდერების მომზადებაზე რომლებიც ცვლილებების იქნებიან სისტემის,ორგანიზაციის თუ გუნდურ დონეზე.
- უმაღლესი განათლების მიმართულებით პროგრამაში სწავლების პროცესის ერთგვაროვნებისთვის მიზნით არსებული კურსების სწავლების ენა (ინგლისური) შეიცვალა ქართული ენით.
- მოხდა ინგლისური ენის შეფასების ფორმალიზება შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით
- მოხდა ინგლისური ენის დონის – B1 დონით განსაზღვრა
- მოხდა უმაღლესი განათლების კომპონენის გაძლიერება მეტი კურსის შეთავაზებით. იმავდროულად, ე.წ. საერთო კურსებში, რომელთა შინაარსში ზოგადი განათლების საკითხები დომინირებდა, მოხდა მათი გადახედვა და შეცვლა/უმაღლესი განათლების შინაარსობრივი წილის გაზრდის ხარჯზე
- უმაღლესი განათლების მიმართულების სტუდენტებისთვის გაჩნდა შესაძლებლობა, სამაგისტრო ნაშრომის სახით პრაქტიკის კვლევა წარმოადგინონ. განახლებულ პროგრამაში სამაგისტრო კვლევითი ნაშრომის დიზიანად როგორც ზოგადი ისე უმაღლესი განათლების ადმინისტრირების სტუდენტებისთვის პრაქტიკის კვლევა განისაზღვრა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის მთავარი პრინციპია ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროგრამის მიზანია მოამზადოს ზოგადი ან უმაღლესი განათლების სექტორის პროფესიონალი, რომელიც:კვლევის შედეგების საფუძველზე უზრუნველყოფს განათლების პროცესების მართვას და საგანმანათლებლო პროცესების ტრანსფორმაციას; აღჭურვილია განათლების სექტორში ლიდერისთვის საჭირო კომპეტენციებით და მოქმედებს პროფესიული და აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვით; დამოუკიდებლად ავითარებს საკუთარ პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან მიღებულ რეკომენდაციებს. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია ასევე საერთაშორისო გამოცდილება (ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, შვეიცარია). პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებგვერდით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა; ○ განათლების ადმინისტრირების დასაქმების ბაზარზე საჭირო უნარებისა და კომპეტენციების კვლევა; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2
რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და მისი ყველა კომპონენტის ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც

დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების რუკით. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. ინტერვიუს დროს დადასტურდა პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცეში დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა. პროგრამაში განვითარებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სკოლის დირექტორები და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთულების თანამშრომლები, პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება სტუდენტების ნამუშევრების ანალიზი, ასევე სტუდენტების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები მეთოდები. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების კომპლექსურობა და მრავალფეროვნება ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და ხელს უწყობს სტუდენტებში დარგობრივი თეორიული და პრაქტიკული უნარების შეფასებას სხვადასხვა თანამედროვე მიდგომებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით (კვლევითი პროექტები და ნაშრომები, პრაქტიკის ანგარიშები და სხვ.). აღნიშნული შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა; ○ სწავლის შედეგების რუკა; ○ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; ○ ინტერვიუ; ○ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შემაჯამებელი ანგარიში; ○ განათლების ადმინისტრირების დასაქმების ბაზარზე საჭირო უნარებისა და კომპეტენციების კვლევა;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	[redacted]			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- შესაბამისი ტიპის საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა გამოცდის წარმატებით ჩაბარება

.

შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაზე აპლიკანტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- დარგობრივი ცოდნა - 30 ქულა;
- მოტივაცია - 20 ქულა;
- კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;
- ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე – 20 ქულა;
- საგანანმანათლებლო სექტორში მუშაობის გამოცდილება – 15 ქულა.

დარგობრივი ცოდნის შეფასების მიზნით, წინასწარ ხდება საკითხების შერჩევა უმაღლესი ან ზოგადი განათლების ადმინისტრირების სფეროსთვის შესატყვისი თეორიული საფუძვლებიდან და აქტუალური თემატიკიდან. ვებგვერდის საშუალებით წინასწარ ხელმისაწვდომი იქნება დამხმარე საკითხავი მასალა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პროგრამაზე აპლიკანტების შესარჩევ კომისიის წევრებს გარდა დარგის აკადემიური პერსონალისა წარმოადგენენ პროგრამის კურსდამთავრებულები და მოწვეული პერსონალი, რაც საუკეთესო პრაქტიკის მაგალითია.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა ჩართვას პროგრამაში. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ქართულენოვან ლიტერატურასთან ერთად მითითებულია თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურაც, ამასთან, პროგრამაში არსებული პრაქტიკის კვლევის გათვალისწინებით, დაგეგმილია მნიშვნელოვანი კვლევების განხორციელება, აქედან გამომდინარე სტუდენტების მიერ განხორციელებული კვლევების ინტერნაციონალიზაციისა და პროგრამაში არსებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის სიღრმისეული გააზრების მიზნით, კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი დაშვების წინაპირობებში გაზრდის ინგლისური ენის დონეს B1 დან B2 მდე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ქართულენოვან ლიტერატურასთან ერთად მითითებულია თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურაც, ამასთან, პროგრამაში არსებული პრაქტიკის კვლევის გათვალისწინებით, დაგეგმილია მნიშვნელოვანი კვლევების განხორციელება, აქედან გამომდინარე სტუდენტების მიერ განხორციელებული კვლევების ინტერნაციონალიზაციისა და პროგრამაში არსებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის სიღრმისეული გააზრების მიზნით, კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი დაშვების წინაპირობეში გაზრდის ინგლისური ენის დონეს B1 დან B2 მდე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი

ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით. პროგრამის მიხედვით და ინტერვიურებით, განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი. გარდა ამისა, პროგრამის დასასრულს სტუდენტმა უნდა წარმოადგენოს შემაჯამებელი პორტფოლიო. შემაჯამებელ პორტფოლიოში უნდა შედიოდეს პროგრამის ფარგლებში მის მიერ შექმნილი საუკეთესო ნაშრომები (მტკიცებულებები), რომლებიც ადასტურებენ პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრულ კომპეტენციებს. შემაჯამებელი პორტფოლიოს კომპონენტში სტუდენტის შეფასების ფორმაა „ჩათვლა“. კურსდამთავრებულს პროგრამა დასრულებულად ჩაეთვლება შემაჯამებელი პორტფოლიოს დადებითად შეფასების შემთხვევაში.

პროგრამა აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, სპეციალიზდეს ზოგადი ან უმაღლესი განათლების მიმართულებით. მის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ძირითადი კურსების ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია განათლებაში მართვის და ლიდერობის, სწავლა-სწავლების, განათლების სექტორის ზოგადი კონტექსტის (მისი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პარამეტრები) საკითხებზე. ძირითადი ბლოკის გავლის შემდეგ, სტუდენტები არჩევითი კურსების მეშვეობით ცოდნას გაიღრმავებენ ზოგადი ან უმაღლესი განათლების მიმართულებით. პროგრამა მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პრაქტიკისა და კვლევის შესაძლებლობებზე.

კრედიტები შემდეგნაირად ნაწილდება:

- **სავალდებულო კურსების ბლოკი** - 54 კრედიტი;
- **პრაქტიკისა და კვლევის ბლოკი** - 36 კრედიტი;
- **სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკი** - 18 კრედიტი
- **არჩევითი კურსების ბლოკი** - 12 კრედიტი

არჩევითი კურსების ბლოკის ფარგლებში (12 კრედიტი) სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს როგორც მოცემულ ბლოკში, ასევე პროგრამის სხვა ბლოკისა და უნივერსიტეტის ფარგლებში, სხვა სამაგისტრო პროგრამებში შეთავაზებული კურსები.

პროგრამის თითოეული კომპონენტი ისეა აგებული, რომ მათი მოცულობა, სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრავს სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. პროგრამის თითოეული კურსის მიზანი, კრედიტების რაოდენობა, დაშვების წინაპირობა, საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები და ფორმატი (ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, პედაგოგიური სიტუაციის ანალიზი და ა.შ.), შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა უზრუნველყოფს კურსით გათვალისწინებული მიზნების და დარგობრივი კომპეტენციების მიღწევას. თითოეულ სილაბუსში გაწერილია სწავლის შედეგები, რომელსაც სტუდენტი დაეუფლება შესაბამისი კრედიტის ათვისების შემთხვევაში. თითოეული სასწავლო კურსი სრულდება გამოცდით. ყოველ გამოცდაზე დაშვებას აქვს წინაპირობა, რომელიც უზრუნველყოფს კურსის სწავლების პროცესში აუცილებელი აქტივობების განხორციელებას. სილაბუსებში განსაზღვრულია გამოცდისთვის მოსამზადებელი დროის სავარაუდო ხანგრძლივობაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები; ○ პროგრამა; ○ პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; ○ პროგრამის სემესტრული გეგმა; ○ პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; ○ პრაქტიკის დოკუმენტი; ○ სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა, სადაც დეტალურად აღწერილია პროგრამის რომელ სწავლის შედეგზე / შედეგებზე გადის თითოეულ ბლოკში შემავალი ცალკეული კურსი.

პროგრამა მოიცავს 6 და 3 კრედიტიან კურსებს. კურსების შინაარსიდან გამომდინარე სილაბუსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათებთან ერთად განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები.

თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

კურსის სილაბუსებში მითითებულია საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები, მათ შორის, ლიტერატურა. ზოგიერთი კურსის ფარგლებში გამოიყენება ე.წ. რიდერები, რომელიც ეფუძნება განათლების სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებსა და კვლევებს.

მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და გაზიარებულია არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსის" საშუალებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Anallytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა; ○ სწავლის შედეგების რუკა; ○ პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ○ რიდერები ○ საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ბიბლიოთეკები, ჟურნალები და სხვა - http://library.iliauni.edu.ge/elibrary/sametsniero-bazebi/;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი უნარების განვითარებას. პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს პრაქტიკის და კვლევის კომპონენტის გაძლიერება, რაც აისახა პროგრამის სასწავლო კურსში. პრაქტიკას, როგორც ზოგადი, ასევე უმაღლესი განათლების მიმართულების სტუდენტები გადიან სწავლების მესამე სემესტრში პრაქტიკის ადგილზე - სკოლა ან უმაღლესი (მიმართულების შესაბამისად). პროგრამის ფარგლებში ამ კურსს მინიჭებული აქვს 6 კრედიტი და მისი გავლა სავალდებულოა, როგორც ზოგადი ასევე, უმაღლესი განათლების მიმართულების სტუდენტებისათვის. პრაქტიკის მიზანია, პროგრამის ფარგლებში მართვისა და ადმინისტრირების მიმართულებით მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, პრაქტიკის ადგილზე მიმდინარე პროცესებზე უშუალოდ დაკვირვება და გაანალიზება, პრობლემურ სიტუაციებში შესაბამისი მოქმედების უნარების განვითარება, რეალურ სამუშაო პირობებსა და სიტუაციებში სხვადასხვა აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა. პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას. უსდ-ს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის პროცესი შემდეგნაირად ხორციელდება: უნივერსიტეტს, თანამშრომლობით დაინტერესებულ სკოლებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები, შესაბამისად, ზოგადი განათლების მიმართულების სტუდენტები პრაქტიკას სწორედ ამ სკოლებში გაივლიან, ხოლო უმაღლესი განათლების მიმართულების სტუდენტებისთვის პრაქტიკის ადგილად გამოყენებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა სამსახური (სულ 19 სამსახური). პრაქტიკის კურსის ხელმძღვანელი პრაქტიკის ფარგლებში შერჩეული სკოლებისა და უნივერსიტეტის სამსახურების ხელმძღვანელთან ერთად არჩევს ტუტორს/ტუტორებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, რომლებიც ხელს უწყობენ და ზედამხედველობენ პრაქტიკანტს, რათა სრულფასოვნად ჩაერთოს კურსის სილაბუსით განსაზღვრულ აქტივობებში. ასევე, ტუტორის მოვალეობაა შეაფასოს პრაქტიკანტის მუშაობა რეგულარულად და შედეგები, მიაწოდოს კურსის ხელმძღვანელს. პრაქტიკის გასავლელად სტუდენტებს ან სტუდენტთა ჯგუფს ანაწილებს პრაქტიკის კოორდინატორი.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, დამსაქმებლებთან შეხვედრისას (ძირითადად, სკოლის დირექტორები), რომლებსაც ასევე, გაფორმებული აქვთ მემორანდუმები და თანამშრომლობენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ითქვა, რომ პროგრამის განვითარებასთან ერთად დაიხვეწა და გაუმჯობესდა პრაქტიკის კომპონენტი, რითაც გათვალისწინებული იქნა სტუდენტთა ინტერესები. პრაქტიკის მიზნიდან გამომდინარე, სკოლების განვითარებისთვისაც თავის მხრივ საინტერესოა პრაქტიკანტების მიღება და პრაქტიკის დროს სხვადასხვა პროცესებზე სტუდენტთა დაკვირვებისას მიღებული შედეგების ნახვას. პრაქტიკის კომპონენტის როლის ზრდაზე ყურადღება გაამახვილეს პროგრამის ხელმძღვანელმა და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმაც.

სამაგისტრო პროგრამა ასევე, უზრუნველყოფს სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარებასაც. კვლევითი კომპონენტი მოიცავს სავალდებულო სასწავლო კურსებს ორივე მიმართულებისთვის (კვლევის მეთოდები განათლებაში; პრაქტიკის კვლევა), რომლის ფარგლებშიც ხდება სტუდენტების საკვლევი სფეროს განსაზღვრა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე. კვლევითი უნარების განვითრებასთან მიმართებით საინტერესო მიდგომაა, რომ განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის შექმნისთვის სთავაზობს პრაქტიკის კვლევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმი;
- სასწავლო პროგრამის სილაბუსები;
- პრაქტიკის დოკუმენტი;
- სამაგისტრო ნაშრომის და პროექტის დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და უსდ-ს შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორენდუმები;
- ექსპერტების მიერ უნივეტსიტეტში ვიზიტისას სხვადასხვა ჯგუფებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტი თანამშრომლობს ძალიან ბევრ საჯარო თუ კერძო სკოლასთან, რაც ხელს უწყობს ზოგადი განათლების მიმართულების სტუდენტებისთვის პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობის მრავალფეროვნებას, თუმცა, სასურველია, გაფართოვდეს უსდ-ს თანამშრომლობა უმაღლესი განათლების მიმართულებითაც და ამ მიმართულებით გაფორმდეს მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს ბიზნესის, ტექნოლოგიების და განათლების ფაკულტეტზე მოქმედი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებული სტუდენტებზე და შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას და რეალისტურობას. პროგრამა ხორციელდება ლექციების, სამუშაო ჯგუფების და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში. სწავლებისას გამოიყენება დიდაქტიკური, სოკრატული, სოციალური სწავლების (კოოპერატიული და თანამშრომლობითი), კეთებით სწავლების მეთოდი (pbl), ლექცია, სემინარი, დისკუსია, სიტუაციის მოდელირება, როლური თამაშები/სიმულაციები, კერძო შემთხვევის განხილვა (Case Study), ფორმალური დებატები, პროექტი (ინდივიდუალური და

ჯგუფური), პრეზენტაციები და სხვა. ამასთანავე, კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვა ერთი ან რამდენიმე მეთოდი, რომელიც ასახული იქნება სასწავლო კურსის სილაბუსში.

ამის გარდა, პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკის და კვლევის კომპონენტის წილის ზრდაზე, უპირატესობას ანიჭებს პრაქტიკულ გამოცდილებაზე და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლის მიდგომებს, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობას. სამაგისტრო პროგრამის თითოეული სტუდენტის ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტთა შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ამასთანავე, ინდივიდუალური მოთხოვნების საფუძველზე ინიშნება საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან "არგუსის" ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფაც. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ერთვება უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი - „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმი;
- სასწავლო პროგრამის სილაბუსები;
- პრაქტიკის დოკუმენტი;
- „არგუსი" - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა : https://argus.iliauni.edu.ge/ ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გათვალისწინებულია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის N3 ბრძანება სილაბუსების შეფასების ნაწილში განსაზღვრულია ის ძირითადი შეფასების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის კომპონენტის/კურსის ფარგლებში. სწავლის შედეგების გასაზომად ცალკეული კურსის ფარგლებში შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს კურსის მიზნებითა და სწავლის შედეგებით განსაზღვრული სწავლის მიღწევების შეფასებას როგორც პროგრამის

თითოეული კურსის, ასევე თითოეული კომპონენტის (სპეციალობის, პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტების) ფარგლებში. უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების თანასწორი და სამართლიანი სისტემა, აგრეთვე შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს/სკოლას საპრეტენზიო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა; ○ პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; ○ პრაქტიკის დოკუმენტი; ○ სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	■			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, როგორც ზოგადი განათლების, ასევე, უმაღლესი განათლების მიმართულებით. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის ინფორმაცია საჭირო პროცედურების შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ამავდროულად, უნივერსიტეტში იმართება საინფორმაციო შეხვედრებიც. სპეციალურად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის შექმნილია პროგრამული სისტემა „არგუსი“ - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა. უსდ-ში ჩარიცხვისთანავე ხდება თითოეული სტუდენტის ამ სისტემაში დარეგისტრირება, რის შედეგადაც მათ უკვე წვდომა აქვთ სასწავლო კურსებზე, ელექტრონულ სასწავლო მასალებზე, სილაბუსებზე, ასევე, აქვე აისახება მათი აკადემიური მოსწრება და როგორც

შუალედური, ისე საბოლოო გამოცდის შედეგებიც, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს სემესტრის განმავლობაში სისტემატიურად შეაფასონ თავიანთი შესაძლებლობები და გასაუმჯობესებელი მხარეები. ამასთანავე, ყოველი შუალედური შემოწმების შემდეგ, სტუდენტი იღებს უკუკავშირს კურსის ხელმძღვანელისგან მის მიერ შესრულებული დავალების და შედეგის შესახებ.

ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვასა და სტუდენტთა მხარდაჭერას. „არგუსი“ ლექტორებთან საკონტაქტო ერთ-ერთი საშუალებაცაა. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას, ნათლად გამოიკვეთა, რომ აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაცია მრავალი საშუალებით ხორციელდება და სტუდენტთათვის პრობლემას არ წარმოადგენს. საჭიროების შემთხვევაში, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ლექტორებთან დამატებით შესაძლებელია ინდივიდუალური ან მცირე ჯგუფური შეხვედრებიც, სადაც სტუდენტები იღებენ კონსულტაციებს შესასრულებელ დავალებასთან და სხვადასხვა საჭირო საკითხებთან მიმართებით. სასწავლო კურსის დასაწყისში საგნის ხელმძღვანელი სტუდენტებთან ატარებს პრეზენტაციას შეფასების კომპონენტებისა, მეთოდების და კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში შეთავაზებული მუშაობის პრინციპების შესახებ.

ილიას უნივერსიტეტის და კონკრეტულად, ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები აქტიურად ატარებენ სტუდენტთა და უკვე კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს, სერვისების გასაუმჯობესებლად კვლევას სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად, ყოველსემესტრულად, ანონიმურად ხდება სასწავლო კურსებისა და კურსის ხელმძღვანელების შეფასება სტუდენტების მხრიდან. ამ შეფასებების საფუძველზე კი ხორციელდება საჭირო ცვლილებები და ვითარდება პროგრამა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სტუდენტების მოსაზრებები მაქსიმალურად გათვალისწინებულია. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია ქვეყნედება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

უსდ-ში განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურსებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს პროცესში კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს მათ კარიერულ განვითარებას. ისინი, სხვადასხვა გზით სისტემატიურად იღებენ ინფორმაციას დასაქმების ფორუმების, ვაკანსიების (სპეციალობის შესაბამისად შერჩევით ვაკანსიებს),

ტრენინგების შესახებ. უნივერსიტეტში ასევე, ფუნქციონირებს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა დასაქმებას.

ასევე, აღსანიშნავია პროგრამის ინტერნაციონალიზაცია და სტუდენტების გაცვლით პროგრამაში ჩართულობა. საგარეო ურთიერთობების სამსახური უზრინველყოფს ილიას უნივერსიტეტის სტუდენტთათვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნას. რამდენიმე სტუდენტი და უკვე კურსდამთავრებული განათლების ადმინისტრირებიდან ჩართული იყო გაცვლით პროგრამაში და იმყოფებოდა ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებში, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ესენი ძირითადად განათლების ადმინისტრირების პროგრამის უმაღლესი განათლების მიმართულების სტუდენტები არიან, რაც დაკავშირებულია ინგლისური ენის ცოდნის უფრო მაღალ დონესთან (დაშვების წინაპირობა იყო B2 დონე), რადგან უმაღლესი განათლების მიმართულებით, თავდაპირველად, სწავლება მიმდინარეობდა ქართულ და ინგლისურ ენებზე, თუმცა, განახლებულ პროგრამაში სწავლების ენა და სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა ორივე მიმართულებით (ზოგადი და უმაღლესი) შეთავაზებულია მხოლოდ ქართულ ენაზე. ექსპერტთა ჯგუფთან უმაღლესი განათლების მიმართულების კურსდამთავრებულთა ნაწილმა თქვა, რომ პროგრამას საწყის ეტაპზე ჰქონდა გამოწვევები. პრობლემები იქმნებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ სტუდენტებს სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში უფრო მეტად უწევდათ ზოგადი განათლების ქეისებთან შეხება და ნაკლები იყო უმაღლესი განათლების ქეისები. თუმცა, პროგრამის მოქმედ სტუდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ დღეს, ეს პრობლემა პროგრამას აღარ გააჩნია და დაბალანსებულია როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი განათლების წილი სასწავლო კურსებში.

პრობლემა იყო პრაქტიკის კომპონენტის სიმცირესთან მიმართებითაც, რომელიც ასევე გათვალისწინებული იქნა და სასწავლო პროცესის მესამე სემესტრში დამატებულია სტუდენტებისთვის სავალდებულო კურსი : პრაქტიკა (სკოლა) და პრაქტიკა (უმაღლესი) მიმართულების შესაბამისად.

როგორც სტუდენტები და კურსდამთავებულები აღნიშნავენ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მხარე ამ პროგრამის ისაა, რომ ინდივიდუალურთან ერთად ავითარებს ჯგუფური (გუნდური) მუშაობის უნარს, რაც სამომავლოდ ამ სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ინტერვიუების დროს ნათელი გახდა, რომ მოლოდინები, რომლებიც სტუდენტებსა და უკვე კურსდათამვრებულებს პროგრამაზე ჩაბარებისას გააჩნდათ გამართლდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;

- კურიკულუმი;
- სასწავლო პროგრამის სილაბუსები;
- პრაქტიკის დოკუმენტი;
- სამაგისტრო ნაშრომის და პროექტის დოკუმენტი;
- „არგუსი“ - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა: https://argus.iliauni.edu.ge/ ;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://iliauni.edu.ge/ge/
- სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება;
- უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დებულება;
- ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია გამოკითხვისა და სერვისების კვლევის შედეგად განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში თუ მის ცალკეულ სასწავლო კურსებში შეტანილი ცვლილებების უფრო მეტი საჯაროობა, რისთვისაც ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების გარდა, კარგი იქნება თუ სტუდენტებთან გაიმართება საპრეზენტაციო შეხვედრებიც იმ შედეგების გასაცნობად, რაც სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ გამოკითხვებში ჩართულობამ და მათმა შეფასებებმა გამოიღო.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსების ჩამონათვალი მოიცავს სავალდებულო, სავალდებულო-არჩევით, არჩევით და პრაქტიკისა და კვლევის ბლოკებს. პროგრამაში განსაკუთრებული როლი აქვს, სწორედ ამ უკანასკნელს, პრაქტიკისა და კვლევის ბლოკს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შექმნასაც. ამ ბლოკის 36 კრედიტიდან 18 ეთმობა უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომს. აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომის სახით ორივე მიმართულების სტუდენტებისთვის წარმოდგენილია პრაქტიკის კვლევა, რაც ამ ნაშრომსა და კვლევას მნიშვნელოვან ფასეულობას სძენს.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა რამდენიმე სავალდებულო ეტაპს მოიცავს. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი მეორე სემესტრიდან იწყებს თემისა და პრაქტიკის კვლევის ორგანიზაციის შერჩევას, მეოთხე სემესტრიდან კი უშუალოდ იწყება სამაგისტრო ნაშრომის შექმნის პროცესი. პრაქტიკის კვლევის სპეციფიკიდან და შრომატევადობიდან გამომდინარე ნაშრომზე მუშაობს რამდენიმე ადამიანი ერთად (მაქსიმუმ სამი), რომელთაც აქვთ საერთო საკვლევი ინტერესი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მოვალეობაა, რომ უზრუნველყოს და დაეხმაროს სტუდენტებს შესასრულებელი დავალებების შეძლებისდაგვარად თანაბრად გადანაწილებაში და ასევე, აკონტროლოს მათი ინდივიდუალური მუშაობა, ჯგუფურთან ერთად.

ექსპერტთა მიერ კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირების პროცესში დადასტურდა, რომ მათ ჰყავდათ სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელი ან დამატებით თანახელმძღვანელიც საჭიროების შემთხვევაში.

უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის და პროექტის დოკუმენტზე დაყრდნობით ხელმძღვანელის შერჩევა ხდება საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ნებისმიერი პროფესორი ან მოწვეული ლექტორი, თუმცა, გარკვეული წინაპირობით: რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში, რომელიც შეესაბამება სტუდენტის/სტუდენტთა ჯგუფის მიერ სამაგისტრო ნაშრომისთვის შერჩეული საკვლევი საკითხის თემატიკას ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი/ნაშრომები, რომელიც შეესაბამება სტუდენტის/სტუდენტთა ჯგუფის მიერ სამაგისტრო ნაშრომისთვის შერჩეული საკვლევი საკითხის თემატიკას. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ნაშრომის ხელმძღვანელისგან რეგულარულად იღებდნენ კონსულტაციებს და დამატებითაც საჭიროების შემთხვევაში ჰქონდათ კომუნიკაცია მათთან. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებმა ასევე, ყურადღება გაამახვილეს, რომ ნაშრომის ხელმძღვანელის გარდა სტუდენტი კვლევის პროცესში მხარდაჭერას იღებს კლიენტი ორგანიზაციის წარმომადგენელი პირისგან, რომელსაც უჭირავს მმართველი პოზიცია კლიენტ ორგანიზაციაში. ეს ფაქტი დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროსაც, სადაც ერთ-ერთი სკოლის დირექტორის მხრიდან აღინიშნა, რომ კვლევა ტარდება სკოლების საჭიროებებიდან გამომდინარე და შესაბამისად, ინტერესი არის ორმხრივი, რის გამოც ორგანიზაციები ცდილობენ აქტიურად შეუწყონ ხელი კვლევის პროცესის მიმდინარეობას. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექპერტებთან საუბრისას ყურადღება გაამახვილეს სამაგისტრო ნაშრომების შუალედური განხილვების მნიშვნელობაზე და დადებით მხარეებზე, სადაც ხდება სტუდენტთა შეფასება განმავითარებელი კომენტარებით. ზოგადად, სამაგისტრო ნაშრომი ფასდება საბოლოოდ ერთჯერადად, თუმცა, შეფასება არის მრავალკომპონენტიანი. ექსპერტები უნივერსიტეტში ვიზიტისას, ადგილზე ელექტრონულად გაეცნენ რამდენიმე სამაგისტრო პროექტს, რომლებიც შეესაბამებოდა უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შექმნის სტანდარტებს და მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტთებთან ისაუბრა იმაზე, რომ პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში გაძლიერდა და დაიხვეწა ჯგუფში შემავალი ცალკეული სტუდენტების ინდივიდუალური შეფასების კომპონენტი და ასევე, შეფასების სისტემას დაემატა ჯგუფის შიგნით სტუდენტების ურთიერთშეფასების ნაწილიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმი;
- სასწავლო პროგრამის სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომის და პროექტის დოკუმენტი;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და კვლევები;
- პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების ადმინისრირების'' პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 აკადემიური და 10 მოწვეული პერსონალი. პირადი საქმეების გაცნობის შედეგად დადასტურდა, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია და მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება. მათი უმეტესობა ჩართულია განათლების პოლიტიკის შემუშავებასა და კვლევებში. მათ მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები შესაბამისობაშია პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგებთან და სასწავლო რესურსებადაც გამოიყენება. ბევრი მათგანი მუშაობს განთლების სფეროს საკვანძო ორგანიზაციებში, მაგ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წამყვან პოზიციებზე ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტბზე არსებული '' განათლების სკოლის'' ფუქციონირება ხელს უწყობს განათლების მიმართულებით თემატური და კვლევითი საქმიანობის კოორდინირებას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა მოქნილი და მოხერხებულია პროგრამის განხორციელების პროცესში.

აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობა ადეკვატურია.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი პროგრამის მდგრადობას სრულად უზრუნველყოფს.

გასაუბრების დროს, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ ისინი სწავლების გარდა ჩართულები არიან სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამის განვითარების პროცესებში.

პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ღონისძიებებსა და კონფერენციებში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რისი ნათელი მაგალითი იყო, ვიზიტის დროს, ინტერვიუსთვის, საზღვარგარეთ კომფერენციებზე მყოფი პედაგოგების სკაიპით ჩართვა.

პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია და შიდა და გარე მონიტორინგით ხდება მისი გაუმჯობესება.

მოქმედი პროგრამის შემთხვევაში, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში შეადგენს 21/55 ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა ბოლო 5 წლის განმავლობაში 21/49, 21/60, 21/55. 21/58, 21/55 პროგრამის ხელმძღბანელის ინფორმაციით, ერთი პედაგოგის ხელმძღვანელობით შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5, თუმცა მოქმედი პროგრამის შემთხვევაში იყო დაშვებული 7, რაც პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით გამონაკლისს წარმოადგენს.

პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით;

პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

პროგრამის სტუდენტები, უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით;

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამუშაო აღწერილობები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

- პერსონალის პირადი საქმეები;
- საკონკურსო მასალები;
- გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეტანილი განაცხადები;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი (რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც);
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;
- აკადემიური და სამეიიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;
- ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი (მოქმედი პროგრამის შემთხვევაში);
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე;
- ინტერვიუს შედეგები.
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებას და მისი შედეგების ანალიზს, რაც ეხმარება პროფესიული განბითარების პროცესი წარმართოს სისტემურად. თანამშრომლების საჭიროების შესაბამისად რეგულარულად და ეფექტურად განახორციელოს მოქმედი ტრენინგების კურსი, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ყველა ტიპის პერსონალისთვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნას აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო ასევე კველვითი საქმიანობის შეფასებას; შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის; შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებისა და წახალისებისას. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები; უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლთა განვითარების ცენტრი, რომელიც შეიმუშავებს ტრეინინგ-მოდულებს პროგრამის შედეგების განსაზღვრის, მათი შეფასებისა დაანლიზის შესახებ. განვითარების სამსახური ხელს უწყობს პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობასა და შესაბამისი დაფინანსების მოძიებაში.

საგარეო ურთიერთობის სამსახური, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში უზრუნველყოფს მათ განხორციელებას. ERASMUS+პროგრამების ფარგლებში ხელს უწყობს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო მობილობას. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები, და სხვა). პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კველევებსა და კონფერენციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში; ○ სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ; ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები. ○ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას); ○ სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები; ○ პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები; ○ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, გამოქვეყნებული შრომები, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, და სხვა).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დათვალიერების შედაგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურული და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნბელყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;

ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის

ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს

მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად; მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის; სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მომხმარებელს უზრუნველყოფს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით და ინტერნეტით,რაც მოიცავს სამკითხველო დარბაზებს ჯგუფური მუშაობის სივრცეებს მულტიმედია რესურსებითა ტექნიკით აღჭურვილ კუთხეებს შეხვედრებისა და ტრეინინგების ოთახს და ა.შ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი განახლების მუდმივ რეჟიმშია, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს თვალყური ადევნოს ამა თუ იმ დარგში მიმდინარე განვითარების უახლეს ტენდენციებს. ეს ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და კვლევითი საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. ელექტრონული სისტემის ''არგუსი''-ს მეშვეობით სტუდენტები მუდმივად ინფორმირებულები არიან სიახლეების შესახებ. ელექტრონული პორტალი ''moodle''-ის საშუალებით ხორციელდება სასწავლო კურსების ელექტრონული სწავლება. მემორანდუმით განსაზღვრული პირობებით. უნივერსიტეტის სკოლებთან ურთიერთობა უზრუნველყოფს პრაქტიკის წარმატებით განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი; ○ ტექნიკური აღჭურვილობის შეფარდება სტუდენტების რაოდენობასთან; ○ ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ○ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; ○ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; ○ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. პროგრამის ადმინისტრირებას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, უზრუნველყოფს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ადმინისტრაცია, რაც მათთან ინტერვიუზე ნათლად დადასტურდა მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც გაფორმებულია უნივერსიტეტსა და სკოლებს შორის პრაქტიკის განხორციელების პროცესში, ფინანსური მხარდაჭერის სანაცვლოდ,

უნივერსიტეტი სკოლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობებს საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის სახით. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი გაწერილია. ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები. პროგრამის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის საზომად აღებულია განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნადობა, პროგრამისთვის გამოყოფილი ქვოტა. ბოლო ოთხი წლის შემთხვევაში სრულად იქნა ათვისებული (50-55 სტუდენტი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დაფინანსების წყაროები; ○ უსდ-ის ბიუჯეტი; ○ პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	■			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზურნველყოფის პროცესები და პროცედურები ეფექტურად არის დაგეგმილი როგორც გამოყენებული რესურსების, ასევე დახარჯული დროის თვალსაზრისით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება შემდეგ პრინციპს: “დაგეგმე - განახორციელე- შეამოწმე -განავითარე”. პროგრამის შემუშავების პროცესი ემყარება იმ ინფორმაციის კომპლექსურ ანალიზს, რომელიც ხელმისაწვდომია პროგრამის შემუშავების პერსონალისთვის. მათ მიერ ხორციელდება პროგრამის ანალიზი. პროგრამაში აკადემიური და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს დადგინდა მათი ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შეიქმნა თვითშეფასების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა როგორც პროგრამაში

ჩართული აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი (ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ამავე სამსახურის სპეციალისტი). განსაზღვრა თითოეული სტანდარტის მიხედვით პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები. აღნიშნული შეფასების საფუძველზე შემუშავდა განათლების ადმინსიტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების დოკუმენტის სამუშაო ვერსია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ პერსონალთან ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; ○ შეხვედრების ოქმები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების ადმისნიტრირების სამაგიტრო პროგრამის რეაკრედიტაციის ეტაპზე მისი გარეშეფასება განახორციელა ამერიკის შეერთებული შტატების განათლებისა და ბავშვთა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა მკვლევარმა. შეფასდა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი,სწავლის შედეგები,პროგრამის მიზნები და მისია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ განათლებისა და ბავშვთა დაცვის დეპარტამენტის (აშშ) უფროსი მკვლევარის მიერ პროგრამის გარე შეფასება
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია შიდა ხარისხის პოლიტიკით შიდა ხარისხის სისტემური კვლევების ფარგლებში სტუდენტების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების და შეფასების კვლევა ხორციელდება რეგულარულად სისტემური კვლევების დროის ჩარჩოს მიხედვით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წელიწადში ორჯერ ახორციელებს სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევას და კურსების/კომპონენტების შეფასებას. უნივერსიტეტი სისტემა „არგუსის“დახმარებით ახდენს გამოკითხვას და რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების შეგროვებას. ანალოგიური პრინციპით ხორციელდება კურსდამთავრებულთა კმაყოფილების/დასაქმების კვლევა. შიდა შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით და გულისხმობს ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში კვლევების განხორციელებას სხვადასხვა მიმართულებით: სტუდენტების აკადემიური პროგრამით კმაყოფილების შეფასება; კურსების/კომპონენტების შეფასება; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების/დასაქმების კვლევა; დამსაქმებლების შეფასება, და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ○ სისტემა „არგუსში“ ასახული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა შესაბ[redacted]ისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	[redacted]			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: განათლების ადმინისიტრირება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	■			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	■			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	■			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	■			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	■			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გოდერძი ბუჩაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მანანა ქაჯაია

მარიამ ვაშაკიძე